პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 175 (13867) | პარასკევი, 28 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

**დღეს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება სპორტსმენთა დიდი ფორუმი**

## სალამი სპარტაკიადის მონაწილეებს!



საბჭოთა სპორტსმენების დიდ ფორუმში — სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ. თუ არ ჩავთვლით მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს, რესპუბლიკებს შორის ჩვენი ფიზკულტურელები რსფსრ-ისა და უკრაინის შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფებიან, ასეთი გუნდური მაჩვენებლით ხვდებიან ისინი სპორტსმენთა დღევანდელ ზეიმს — სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის გახსნის დღეს.

სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს გუნდის ერთ-ერთ ჯგუფს წითელ მოედანზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მეჩაიეებო, რაოდენობაც, ხარისხიც!

ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართან.

ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის ჩაის ფოთლის წარმოებამ 235.000 ტონას უნდა მიაღწიოს. ამ საიუბილეო წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 210.000 ტონა, გეგმით კი 200.000 ტონა. როგორც ცნობილია, წლევანდელი გაზაფხული არახელსაყრელი ამინდით ხასიათდებოდა. ამან თითქმის ერთი თვით დააგვიანა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყება.

ეს მხედველობაში მიიღეს რესპუბლიკის მეჩაიეობის პარტიულმა ორგანიზაციებმა და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელეს შექმნილი სიძნელეების დასაძლევად. ფართოდ გაჩაღდა დიადი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მეჩაიეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაისსა და ივნისში გამოასწორეს ჩამორჩენა, ხოლო 25 ივლისისათვის რესპუბლიკაში სულ მოკრიფეს 157.742 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 78,9 პროცენტს შეადგენს. ივლისის დავალება კი შესრულებულია 111,1 პროცენტით.

მეტი ჩაისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს **წყალტუბოელმა** მეჩაიეებმა, რომლებმაც მეჩაიეობის რაიონებს შორის პირველებმა უპატაკეს სამშობლოს ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულება და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.600 ტონა ჩაის ნედლეული. ჩაის კრეფის ივლისის გეგმები დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს **გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის, ქობულეთის, ბათუმის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წულუკიძის, ცხაკაიას, ხობის, სამტრედიის რაიონებმა და ტყიბულელმა მეჩაიეებმა.**

ეს წარმატებანი, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა მეჩაიეთა თავდადებულმა შრომამ, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებამ. ცნობილია, რომ ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულებაში **გადამწყვეტ როლს ხელით კრეფა ასრულებს.** მართალია, ჩვენს მეჩაიეებს მხარში ამოუდგა და სერიოზულ დახმარებას უწევს ჩაის საკრეფი მანქანები, მაგრამ ჯერჯერობით **ხელით იკრიფება მთელი გეგმის 95 პროცენტზე მეტი.** შარშან მანქანებით მოიკრიფა 6.000 ტონამდე ჩაის ფოთოლი, წელს უნდა მოიკრიფოს 10.000 ტონამდე. მაშასადამე, ხელით მკრეფავთა ამოცანა დიდია. ყოველი ღონისძიებით უნდა დავეხმაროთ და ჩვენს მეჩაიეებს შევუქმნათ მუშაობის კარგი პირობები, სწორად მოვაწყოთ მათი შრომის გარანტირებული ანაზღაურება. ამ საფუძველზე, უეჭველია, ჩვენი მეჩაიეების დაულოცავი მარჯვენით წელს გადაჭარბებით შესრულდება წლიური გეგმა და ვალდებულებაც.

საქართველო ამაყობს სახელგანთქმული ვეტერანი მეჩაიეების — **ასმათ ჯიჯავაძის, ქიონია სარსანიას, ცაცა ქარდავას, ტატიანა ტუღუშიავას, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ უშუნიას, ტატიანა ჩხაიძის, დარეჯან ტაკიძის, ზინა გაჯელიძის, მარგო ჩიქვანაიას** და ასობით სხვა ძველი გვარდიის წარმომადგენლის შრომით. მათ უნდა მივბაძოთ შრომასა და ცხოვრებაში.

მეჩაიეთა გმირულ შრომას დიდ შეფასებას აძლევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ათასობით მეჩაიე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ასობით მეჩაიეს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ნიშანი — ოქროს ვარსკვლავი. ამ მაღალ შეფასებას რესპუბლიკის მეჩაიეები, რომლებსაც ალაფრთოვანებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი" — თავდადებით განაგრძობენ ლაშქრობას მეტი ჩაისათვის. ახლა, როცა დადგა ჩაის კრეფის გეგმის შესრულების გადამწყვეტი პერიოდი, საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ განუწყვეტლივ ყოველგვარ ამინდში. **რაოდენობაც, ხარისხიც!** — ასეთია რესპუბლიკის მეჩაიეთა დევიზი.

# საიუბილეო შრომით ვახტზე

## ნობათები სამშობლოს

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შრომითი აღმავლობაა. საიუბილეო წლის პირველი ნახევრის შედეგებით ქარხნის კოლექტივმა გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მესამე ადგილი მოიპოვა.

ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიტანა მეოთხე საამქროს კოლექტივმა, რომელმაც დახურული ელექტროღუმელების წარმადობა 15 პროცენტით გაზარდა. ჩვენ ყოველდღიურად ათეულობით ტონა ზეგეგმითს შენადნობს ვიძლევით, ვზრდით შრომის ნაყოფიერებას. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მარტო ივნის-ივლისში მოგებამ 100 ათასი მანეთი შეადგინა.

საიუბილეო ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ მდნობელთა ბრიგადები, რომლებსაც კ. სოფრომაძე, ვ. მიქაბერიძე, ი. აბესაძე, ლ. გურული, შ. ფერაძე ხელმძღვანელობენ.

ახალი გამარჯვებებით შევხვდებით სახელოვან იუბილეს.

**ივ. არაბული,**
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს უფროსი.

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). მაღაროელმა რაციონალიზატორებმა საიუბილეო წელს 600.000 მანეთის დაზოგვა იკისრეს. ისინი პირობას ასრულებენ. სამეურნეო წლის პირველ ნახევარში რაციონალიზატორებმა ხუთწლედის ფონდში შეიტანეს 502.000 მანეთი.

მართალია, წარმატებები არის, მაგრამ რაციონალიზატორთა შორის ცოტაა მუშები, ზოგჯერ ჭიანურდება წინადადებათა განხილვა-დანერგვა და სხვ.

მაღაროელმა რაციონალიზატორებმა საქალაქო კონფერენციაზე აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადიდებული ვალდებულებები აიღეს. დანერგილ წინადადებათა წლიური ეკონომია დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის იქნება 700.000 მანეთი, ხოლო წლის ბოლოსათვის 800.000 მანეთი.

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებს სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა როგორც საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის ნახევარი წლის დავალება.

ექვს თვეში გეგმის ზევით გამოშვებულია რამდენიმე „ტ-16" მარკის მოდერნიზებული ტრაქტორი, 9 ცალი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი-2" და ათობით სამთო გუთანი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში არიან № 2 ამწყობ-მექანიკური საამქროსა და თერმული უბნის კოლექტივები, რომლებსაც სათავეში უდგანან გამოცდილი სპეციალისტები ვ. ჯორბენაძე და ს. ვალიევი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ასრულებს ლითონის მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს ქუთაისის საწყობის კოლექტივი, რომელიც საიუბილეო წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში.

საწყობის მუშაკებმა ჩინებულად იშრომეს მეორე კვარტალშიც და საიუბილეო წლის პირველ ნახევარში საქონელბრუნვის დავალება 145,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 508 ათასი მანეთის პროდუქცია და მიღებულია 52 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

**ახალციხე.** (საქ. კორ.). საიუბილეო წლის პირველი ნახევარი სასახელო შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრეს სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკებმა. ნახევარ წელიწადში მათ გადაზიდეს 213.643 ტონა ტვირთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 177.900 ტონისა, ტონა-კილომეტრების გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით.

ექვს თვეში ავტოსატრანსპორტო კანტორამ სახელმწიფოს მისცა 39 ათასი მანეთი მოგება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 ათასი მანეთისა.

ამჟამად ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს ოქტომბრის 50 წლისთავს.

**აქატ-დიატომიტის** მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა 15 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს აქატისა და დიატომიტის მოპოვების შვიდი თვის დავალება. აგვისტოს ანგარიშში მათ სამრეწველო საწარმოებს უკვე გაუგზავნეს 1.200 ტონა ნატეხი დიატომიტი, 450 ტონა დამწვარი ფხვნილი დიატომიტი და 200 კილოგრამი ტექნიკური აქატი, სულ 27 ათასი მანეთის პროდუქცია.

დიატომიტის მაღაროებში საოქტომბრო შრომით ვახტზე განსაკუთრებით დაწინაურდა ვლადიმერ კაპანაძის მნგრეველთა ბრიგადა, ხოლო აქატის კარიერებში შალვა ლომიძის აქატის მომპოვებელთა ბრიგადა, რომლებიც უკვე დიდხანია აგვისტოს ანგარიშში იძლევიან პროდუქციას.

**ფოთი.** (საქ. კორ.). ქარხანა „ფოთიელექტროავტომატის" კოლექტივმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის ექვსი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა.

შრომის ნაყოფიერება ამ პერიოდში გაიზარდა 3.5 პროცენტით, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით დაზოგილია 143 კილოგრამი ფერადი და 5 ტონა შავი ლითონი.

## ვალდებულების გადამეტებით — 1.000 ტონა ბოსტნეული

**ლაგოდეხის** რაიონის მშრომელებმა 27 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის **ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა.** სახელმწიფოს მიეყიდა 2.617 ტონა ბოსტნეული ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 2.600 ტონისა (გეგმით გათვალისწინებული 2.300 ტონა).

რაიონის მებოსტნეებმა იკისრეს ახალი ვალდებულება, რომელიც **წლის ბოლომდე კიდევ 1.000 ტონა ბოსტნეულის დამზადებას** ითვალისწინებს. ეს აცნობეს „კომუნისტის" რედაქციას პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. უნგიაძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **კობერიძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. კაკალაშვილმა.**

## ჩხოროწყუელთა პატაკი

საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ჯიჯელავამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. თოდუამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ცირამუამ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა 26 ივლისისათვის სახელმწიფოს მიყიდეს 126 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 122 ტონისა, ხოლო ვალდებულებით ნაკისრი 3 ტონის ნაცვლად 4 ტონა.

ჩხოროწყუელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის ზევით სახელმწიფოს მიჰყიდონ 2 ტონა აბრეშუმის პარკი.

## ქმნიან საკვებ ბაზას

◆ **სიღნაღის** რაიონის მშრომელთა პირობა იყო საიუბილეო წელს ბუნებრივი და ნათესი ბალახები გაეთიბათ 5.214 ჰექტარი. ეს დავალება ჯერ კიდევ ივლისის მეოთხე ხუთდღიურისათვის დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. გაითიბა 5.720 ჰექტარი, რაც წლიური გეგმის 109,7 პროცენტს შეადგენს.

◆ **გურჯაანელებს** ვალდებულებით 1 აგვისტოსათვის ბუნებრივი დანათესი ბალახები უნდა გაეთიბათ 1.110 ჰექტარი, ფაქტიურად გათიბეს 1.696 ჰექტარი, რაც წლიური გეგმის 152,8 პროცენტს შეადგენს.

◆ **თელავის** რაიონს საიუბილეო წელს ბუნებრივი და ნათესი ბალახები გეგმით უნდა გაეთიბა 273 ჰექტარი. ეს დავალება განაღდებულია 149,8 პროცენტით.

## მისალმება საბჭოთა ხალხისადმი

**ბოგოტა,** 27 ივლისი. (საქინფორმი). კოლუმბიის მენავთობეთა ფედერაციის ყრილობამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიიღო მისალმება საბჭოთა ხალხისადმი. მისალმებაში ნათქვამია: „კოლუმბიის მენავთობე მშრომელთა ფედერაციის VII ყრილობის დელეგატები დიდი სიხარულით მიესალმებიან სახელოვანი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულს, რომელმაც მთელ კაცობრიობას უჩვენა, რომ პროლეტარიატს გლეხობასთან კავშირში შეუძლია შექმნას მძლავრი სახელმწიფო, მოსპოს ბურჟუაზიის, მემამულეთა და იმპერიალისტთა ძალაუფლება, სამუდამოდ მოუღოს ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

კოლუმბიელი მენავთობეები მსოფლიოს მთელ პროლეტარიატთან და ხალხებთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის წელს აღტაცებით მიესალმებიან საბჭოთა მუშებისა და გლეხების სახელოვან მიღწევებს".

## არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

**კაირო,** 27 ივლისი. (საქინფორმი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნასერის თავმჯდომარეობით კაიროში გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ეგვიპტის მთავრობის საერთო პოლიტიკის საკითხები, მათ შორის იმ „დიდმნიშვნელოვან მითითებათა" შესრულების ღონისძიებანი, რომლებსაც შეიცავს ნასერის მიერ 23 ივლისს წარმოთქმული სიტყვა.

გაზეთი „ალ-აჰრამი" აღნიშნავს, რომ მინისტრებმა განიხილეს მოქმედების გეგმა და მინისტრთა საბჭოს საქმიანობის პრინციპები შექმნილ საგანგებო ვითარებაში, რომელიც არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიამ გამოიწვია.

## იტალიის კომპარტიის დელეგაცია კაიროში

**კაირო,** 27 ივლისი. (საქინფორმი). არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დღეს 4 დღის ვიზიტად ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დ. კ. პაიეტა.

დელეგაციის მოგზაურობის მიზანი, — განაცხადა ჩამოსვლის შემდეგ დ. კ. პაიეტამ, იტალიის კომუნისტური პარტიის სახელით სოლიდარობა გამოუცხადოთ არაბ ხალხს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აზრი გავუზიაროთ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საშუალებათა შესახებ.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, იტალიის კომპარტიის დელეგაცია შეხვდება არაბთა სოციალისტური კავშირის წარმომადგენლებს.

## ჩვენი დიდი სამშობლო

## მოსკოვში ჩამოვიდა ამხანაგი ტ. ტუბი

**ამ დღეებში** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ტ. ტუბი.

**ამხ. ტუბი** ერთ-ერთი ხელმძღვანელია ისრაელის კომუნისტური პარტიისა, რომელიც არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელ მილიტარისტთა აგრესიის რთულ ვითარებაში გაბედულად გამოვიდა ისრაელის მმართველი წრეების დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ, მტკიცედ იცავდა მარქსისტულ-ლენინურ ინტერნაციონალისტურ პოზიციებს. ამჟამად ისრაელის კომპარტიის ბრძოლის ძირითადი ლოზუნგია: „მხარი დავუჭიროთ არა იმპერიალისტებს არაბ ხალხთა წინააღმდეგ, არამედ არაბ ხალხებს იმპერიალისტების წინააღმდეგ".

## მელიორატორთა საერთაშორისო თათბირი

**მინსკი,** 25 ივლისი. (საქინფორმი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების მელიორატორ სპეციალისტთა ჯგუფის თათბირმა. რვა დღის განმავლობაში ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები ბელორუსიის მაგალითზე სწავლობენ სსრ კავშირში მიწების მელიორაციის გამოცდილებას. მანამდე ჯგუფის წევრები იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც გაეცნენ სამელიორაციო სამუშაოთა ორგანიზაციას.

ბელორუსიაში ისინი ეწვივნენ საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, დაათვალიერეს მთელი რიგი ამოშრობილი მასივები ლიუბანისა და პუხოვიჩის რაიონებში.

თათბირის მონაწილეებმა განაზოგადეს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის გამოცდილება ამოსაშრობი სისტემების დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში.

## თავისუფლება ვიეტნამს — მოითხოვენ საქართველოს ჟურნალისტები

**საბჭოთა** კავშირში მიმდინარეობს ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ერთთვიური. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, რომლის მიზანია დაეხმაროს ვიეტნამელ ძმებს. ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ერთთვიურს მიეძღვნა თბილისის ჟურნალისტთა საერთო-საქალაქო კრება, რომელიც 27 ივლისს გაიმართა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების ბიუროს თავმჯდომარემ გაზეთ „თბილისის" რედაქტორმა ნ. ჯაშმა.

— ამ დღეებში, — თქვა მან, — საბჭოთა ადამიანები მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს აღიმაღლონ პროტესტის ხმა ვიეტნამში ამერიკის მხედრიონის მხეცური მოქმედების წინააღმდეგ. შეერთებული შტატები ვერასოდეს ვერ გასტეხენ სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის მებრძოლი გმირი ვიეტნამელი ხალხის ნებას. საქართველოს დედაქალაქის ჟურნალისტები მრისხანე პროტესტს გამოთქვამენ ამერიკელ აგრესორთა ახალი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

სიტყვებში გამოვიდნენ გაზეთ „კომუნისტის" განყოფილების გამგე გ. ნაჭყებია, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" განყოფილების გამგე ს. ფრიშენბერგი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის რედაქციის უფროსი რედაქტორი გ. თევზაძე და გაზეთ „თბილისის" რედაქციის უფროსი ლიტერატურული მუშაკი ა. შენგელია, რომლებმაც გულისწყრომითა და აღშფოთებით ილაპარაკეს ამერიკის მხედრიონის დანაშაულებრივ მოქმედებაზე ვიეტნამის წინააღმდეგ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია. რეზოლუციაში იწონებენ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დაეხმაროს ვიეტნამელ ხალხს, მკაცრად გმობენ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც დანაშაულებრივ ომს ეწევიან ვიეტნამში.

ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის კრებები გაიმართა აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და ქუთაისში. (საქინფორმი).

## თათბირი ჯაკარტაში

**ჯაკარტა,** 27 ივლისი. (საქინფორმი). ჯაკარტაში მიმდინარეობს ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობს 500-მდე თანამდებობის პირი.

გუშინ თათბირზე გამოვიდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი სუხარტო. სუხარტომ განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს სთხოვოს დროებით სახალხო საკონსულტაციო კონგრესს — ინდონეზიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს გადადოს მომავალი წლისათვის გათვალისწინებული საყოველთაო არჩევნები. სუხარტომ ხაზი გაუსვა, რომ არჩევნებმა უნდა უზრუნველყოს ახალი მთავრობის საქმიანობის წარმატება.

ინდონეზიის გენერალური პროკურორი სუგიხარტო თავის გამოსვლაში შეეხო 30 სექტემბრის ამბების გამო დაპატიმრებულ კომუნისტთა მდგომარეობას და თქვა, რომ ამჟამად საპყრობილეებში დამწყვდეულია 55 ათასი კაცი.

თათბირზე გამოვიდა აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ მალიკი. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ინდონეზია კვლავაც განახორციელებს „დამოუკიდებელ და აქტიურ" საგარეო პოლიტიკას. ინდონეზია მხარს უჭერს ვიეტნამელი ხალხისა და არაბული ქვეყნების ხალხთა ბრძოლას.

## ჯონსონის დესპანები ბანგკოკში

**პარიზი,** 27 ივლისი. (საქინფორმი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის სპეციალური დესპანები გენერალი მ. ტეილორი და კ. კლიფორდი, რომლებიც ბანგკოკში იმყოფებიან, გუშინ ეთათბირნენ ტაილანდის მთავრობის ხელმძღვანელებს. სააგენტო აღნიშნავს, რომ ტაილანდის პრემიერ-მინისტრ ტ. კიტიკაჩორნთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ტ. კომანსა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან სპეციალური დესპანების თათბირის დროს განიხილეს „ვიეტნამის საკითხის სწრაფად გადაჭრის საშუალებანი".

თათბირის შემდეგ, აღნიშნულია ცნობაში, ტ. კომანმა „მიკიბულ-მოკიბული პასუხი", გასცა ჟურნალისტთა კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა ტაილანდის ჯარების რიცხვის გადიდება სამხრეთ ვიეტნამში.

## კვლავ ნავთობი ოკეანეში

**ლონდონი,** 27 ივლისი. (საქინფორმი). უესტერნპორტის ნავსადგურში, რომელიც მელბურნიდან 40 მილზეა, ტანკერის განტვირთვის დროს გუშინ ოკეანეში დაიღვარა რამდენიმე ათასი ბალონი ნავთობი. ნავთობმა წყლის ზედაპირზე წარმოქმნა 7 სანტიმეტრი სისქის ფენა, რომელიც 18 კვადრატულ კილომეტრ ფართობს მოედო, იუწყება როიტერის სააგენტო.

ჰაერი იმდენად გაჟღენთილია დაღვრილი ნავთობის ორთქლით, რომ პოლიციამ გამოსცა ბრძანება, რომელიც ნავსადგურის მახლობლად მდებარე დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს უკრძალავს ასანთის ანთებას.

## მეგობრული საჩუქარი

**იმასთან** დაკავშირებით, რომ ერაყის ხელისუფალნი ღონისძიებებს ახორციელებენ ჩრდილოეთ ერაყში სამხარი მოქმედების შედეგების ლიკვიდაციისა და ერაყში ქურთთა პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ამ ცოტა ხნის წინათ ბაღდადში შეიქმნა ერაყის დაზარალებული ქურთი მოსახლეობისათვის დახმარების კომიტეტი.

ერაყის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვის პასუხად სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა აღნიშნულ კომიტეტს ერაყელი ქურთებისათვის უსასყიდლო დახმარების სახით გაუგზავნოს 30 ათასი მანეთის სურსათი და ტანსაცმელი.

საბჭოთა წითელი ჯვარი იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა ადამიანების ეს საჩუქარი განამტკიცებს საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრობას. (საქინფორმი).

**საერთაშორისო ცხოვრება**

# წყალტუბოელ მეჩაიეთა სიტყვა მტკიცეა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში წყალტუბოს რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ღონისძიებანი დასახეს და განახორციელეს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ორგანიზატორულმა მუშაობამ განაპირობა რაიონის მეჩაიეთა სერიოზული გამარჯვება. წელს მეჩაიეობის კოლმეურნეობების მშრომელებს, კომუნისტებს თამამად შეუძლიათ თქვან, რომ აღებულია ხუთწლედის მეორე წლისთავის დასახული ზღუდე.

ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. მაგრამ თავდადებული შრომის შედეგად 25 ივლისისათვის რაიონში მოიკრიფა 4.402 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.400 ტონისა. ამ წარმატებებს ზამთარშივე ჩაეყარა საფუძველი. აგროტექნიკურ ვადებში საუკეთესოდ დაამუშავეს პლანტაციები, შეიტანეს 1.530 ტონა ფოსფორიანი, 3.300 ტონა აზოტიანი და 430 ტონა კალიუმის სასუქები. 120 ჰექტარი პლანტაცია მოამზადეს სამექანიზაციოდ.

პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით, კომუნისტების უშუალო მონაწილეობით ფართოდ გაჩაღდა საიუბილეო წლის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და მაშინ მეჩაიეებმა დათქვეს, რომ წლიური გეგმა ვადამდე იქნებოდა შესრულებული. მათ სიტყვა საქმედ აქციეს. ამ გამარჯვებაში პირველ რიგში აღსანიშნავია სოფელ გუმათის კოლმეურნეობის წვლილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. მიქაუტაძისა და პარტბიუროს მდივნის ნინო ამირანაშვილის თაოსნობით თვითეულ ბრიგადასა და რგოლში კომუნისტები მოწინავე უბნებზე გაანაწილეს. პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებამ კარგი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის წლიური გეგმა 120,1 პროცენტით შესრულა. 265 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 319 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა. აქ საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიღებულია 4.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

კარგ შედეგებს მიაღწია ქვილიშორის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. იოსელიანი, პარტბიუროს მდივანი ა. ჩიქოვანი). წლიური გეგმით გათვალისწინებული 254 ტონის ნაცვლად მოიკრიფა 271,2 ტონა „მწვანე ოქრო". მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წელს სულ მოკრიფონ 500 ტონა ჩაის ნედლეული. წარმატებები მოიპოვეს ცხუნკურის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ჯიმშელეიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ჯიქია) მეჩაიეებმა. აქ ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულეს 103,8 პროცენტით. პირობა დადეს კიდევ მოკრიფონ 90 ტონა.

მოწინავეთა რიგებში არიან გვიშტიბის კ. მარქსის სახელობის (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჩავჩიძე, პარტბიუროს მდივანი ა. მანაგაძე), ჟონეთის (თავმჯდომარე მ. ჯანელიძე, პარტბიუროს მდივანი დ. გაბუნია), რიონის (თავმჯდომარე ზ. ტურაბელიძე, პარტბიუროს მდივანი გ. ტურაბელიძე), ზარათის (თავმჯდომარე გ. მაღლაფერიძე, პარტბიუროს მდივანი ვ. კაპჭენაშვილი), სორმონის (თავმჯდომარე ფ. მაღლაფერიძე, პარტბიუროს მდივანი ჯ. კოხრეიძე) კოლმეურნეობებმა.

უნარიანი მუშაობით ქება დაიმსახურეს ქვედა მესხეთის, საჩხერეს კოლმეურნეობების მეჩაიეებმა. ბევრი ბრიგადა, რგოლი, მეჩაიე დაწინაურდა გაჩაღებულ შეჯიბრებაში. სოფელ რიონის კოლმეურნეობაში ბრიგადამ, რომელსაც ორგზის ლენინის ორდენოსანი შ. მორჩაძე ხელმძღვანელობს, 20 ჰექტარ პლანტაციაში მოკრიფა 120 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 115 ტონისა. სეზონის ბოლოსათვის ბრიგადაში საშუალო მოსავლიანობა აყვანილ იქნება 9.800 კილოგრამამდე. ასევე სახელი გაითქვეს ზარათის კოლმეურნეობიდან ვ. კაპჭენაშვილის, მაღლაკიდან ი. ჩეჩელაშვილის ბრიგადებმა, რომლებმაც წლიური დავალებები დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს.

რაიონში პირველობას არავის უთმობენ რიონის კოლმეურნეობის მერგოლურები ი. მეტრეველი, გ. ხეცაძე, რომლებმაც გეგმის გადაჭარბებით მისცეს სამშობლოს ტონობით ჩაის ნედლეული. ასობით მეჩაიე კომუნისტმა და უპარტიომ თავი გამოიჩინა ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში. ქვილიშორელმა კომუნისტმა ქსენია კუხალაშვილმა 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 7.647 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მაღლაკელმა ლიანა კუჭუხიძემ — 6.333 კილოგრამი, გუმბრელმა ოლია უშვერიძემ — 6.185 კილოგრამი, წყალტუბოელმა თათუშა ჯიქიამ — 5.897 კილოგრამი, რიონელმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ანეტა ხურციძემ — 3.780 კილოგრამი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნაზი გოგლიჩიძემ — 5.310 კილოგრამი.

რაიონის მეჩაიეები, პარტიული ორგანიზაციები დარაზმული არიან იმისათვის, რომ წელს სამშობლოს **წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ 1.600 ტონა ჩაის ფოთოლი.** წყალტუბოელები ამ ვალდებულებას გაანაღდებენ და ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდებიან დიად საიუბილეო თარიღს.

**გ. ვაშაძე,**
საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი.



# ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

# საერთაშორისო ცხოვრება

# აფრიკის განთიადი

სილვენ ბემბა,
კონგოს (ბრაზავილი) ინფორმაციის სამსახურთა გენერალური დირექტორი.

[illegible] ...ნის იდეებმა გაიმარჯვა.

1917 წელს, პირველად თანამედროვე ისტორიაში, აფრიკისათვის სისხლი დაიღვარა ისეთ საქმეში, რომელიც მას თითქოს არც ეხებოდა პირდაპირ, მაგრამ შემდეგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი მომავლისათვის. 1914-1918 წლების ხოცვა-ჟლეტაში ერთმანეთს შეეჯახნენ სწორედ ის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც თავის დროზე დაყვეს აფრიკის კონტინენტი სასტიკი ექსპლოატაციისა და ორგანიზებული ძარცვის ზონებად. ეს პირველი მსოფლიო კონფლიქტი სხვა არა იყო რა, თუ არ ანგარიშის გასწორება კონკურენტ მტაცებლებს შორის.

აფრიკელებმა, რომლებმაც ამ ომში მონაწილეობა მიიღეს როგორც ეგრეთწოდებულმა „სენეგალელმა მსროლელებმა", არა მარტო იწვნიეს ჯარისკაცის მძიმე ხვედრი, არამედ პირველი საბრძოლო პოლიტიკური ნათლობაც მიიღეს. იმპერიალისტები, რა თქმა უნდა, ვარაუდობდნენ, რომ ულმობელი კოლონიური დისციპლინა მარად ამყოფებდა ჯარისკაცებს მორჩილებაში, მაგრამ აფრიკელებს თვალი აეხილათ.

განმათავისუფლებელი იდეების სულისკვეთება დაეუფლა მათს გონებას. გავიხსენოთ, რომ „სენეგალელ მსროლელთა" უმრავლესობა იმ ტომთა შვილები იყვნენ, რომლებსაც არაერთხელ უჩვენებიათ კოლონიზატორთა თარეშისათვის გმირული წინააღმდეგობის გაწევის მაგალითები. და სამშობლოში მათ გაიყოლეს არა მარტო მოძველებული ჯარისკაცული სავაზნეები, არამედ შეგნების პირველი ნაპერწკალიც, თავისუფლების, სამართლიანობისა და პროგრესის იდეალებიც.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამარცხვინო კოლონიური სისტემა აიძულა უკანდახევაზე გადასულიყო. რა თქმა უნდა, ამ პროცესის საბოლოოდ მომწიფებას წლები დასჭირდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, კოლონიალიზმის ყველა იდეოლოგმა სესილ როდსთან ერთად მძიმე დარტყმები განიცადა. ამან დაასუსტა ისინი და დამონებულ აფრიკას პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების ობიექტური პირობები შეუქმნა.

თუ კოლონიური ავანტიურები ეგრეთწოდებული რასობრივი უპირატესობის ლოზუნგით ხდებოდა, ევროპაში ბურჟუაზიული მთავრობების პოლიტიკამ ნაციზმი წარმოშვა. აფრიკამ ახლა იცის, რომ ფაშისტებმა ნანგრევებად აქციეს ევროპა, კონგოსა და ზამბიაში, სენეგალსა და მოზამბიკში ძალიან კარგად ახსოვთ, რა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირმა ნაციზმის ძალთა ლიკვიდაციის საქმეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომაკვდავი კოლონიალიზმი სულაც არა ფიქრობდა ასე იოლად შერიგებოდა თავის დამარცხებას. პირიქით, მან, სულთმობრძავმა, სისასტიკე გააორკეცა. იგი სხვადასხვა სამოსლით გვევლინება.

მაგალითად, მადაგასკარზე სისხლში ჩაახრჩეს ხალხის გამოსვლები, რომელიც თავისუფლებას მოითხოვდა. ასევე მოიქცა ტიერი, პარიზის კომუნის დროს ოცი ათასი პარიზელი რომ დახვრიტა. მაგრამ განა ტიერებს ისტორიის ჩარხის გაჩერება შეუძლიათ?

დიენბიენფუსთან ვიეტნამელი ხალხის დიდმა გამარჯვებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა დაღმართზე დაქანებულ კოლონიალიზმს. იარაღს მოჰკიდეს ხელი ალჟირელმა პატრიოტებმა, რათა თავისუფლება მოეპოვებინათ. გავიხსენოთ აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი ინდოეთში, „მაუ-მაუს" მოძრაობა აღმოსავლეთ აფრიკაში.

შემდეგშიც — 1956 წელს აგრესიისა და დაშინების პოლიტიკამ განიცადა ახალი ფიასკო, რომლის შედეგები დაეტყო მთელ კოლონიურ სისტემას. მაშინ პრეზიდენტმა ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოახდინა. მომდევნო წლებში განა აფრიკის პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო ხდება საჰარის სამხრეთით. 1958 წელს მას მიჰყვა გვინეა, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რამაც გამოიწვია ეგრეთწოდებული „თანასაზოგადოების" დაშლა და დასაბამი მისცა განთავისუფლებათა ნამდვილ კასკადს 1960 წელს.

დღეს დამოუკიდებლობის დროშა ფრიალებს აფრიკის 39 სახელმწიფოში, რომელთა მოსახლეობა თითქმის 200 მილიონ კაცს შეადგენს. იმპერიალიზმი ვერ ურიგდება ამას. ფარისევლურ ფრაზებს მისი აგენტურის ვერაგული საქმეები მოსდევს. აი რატომ არის, რომ ჩვენი კონტინენტის ხალხები კანონიერ შეშფოთებას გამოთქვამენ აფრიკის მომავლის გამო. ჩვენს თვალწინ არის ტრაგიკული ბედი, რაც ეწია სამხრეთ ამერიკას, რომელიც ხელთ იგდეს უცხოეთის მონოპოლიებმა. მათ იქ ხუთასზე მეტი სახელმწიფო გადატრიალება და ასობით სამხედრო ამბოხება მოაწყეს „დამოუკიდებლობის" 150 წლის მანძილზე. ჩვენ გვახსოვს ეს.

თუ 1960 წელი „აფრიკის წელი" იყო, არ შეიძლება დავივიწყოთ 1961 წელი, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც პატრის ლუმუმბას მოკვლისა და იმპერიალისტური ძალების კონტრშეტევის წელი. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ 1961 წელს კაიროს კონფერენციაზე გამომჟღავნებულ იქნა ნეოკოლონიალიზმის არსი. ნეოკოლონიალიზმი მხარს უჭერს რეჟიმებს, რომლებიც მხოლოდ ინილბებიან „დამოუკიდებლობის" იდეებით. ძალის პოლიტიკაზე ეს დაბრუნება პირდაპირ დაკავშირებულია პროგრესული სახალხო რეჟიმების ხელყოფასთან და მარიონეტების დაყენებასთან, იმპერიალისტ მძარცველთა დარაჯი ძაღლების როლს რომ ასრულებენ.

ყოველ ნაბიჯს, რომელსაც დგამს 1963 წლის მაისში ადის-აბებაში შობილი აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, რეაქციის ძალები უპასუხებდნენ კონტრზომებით და ცდილობდნენ გზა გადაეღობათ თავისუფალი ხალხებისათვის.

იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობდა მოესპო აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, რისთვისაც ხელოვნურად აღვივებდა წინააღმდეგობებს აფრიკის სახელმწიფოებს შორის.

მაგრამ აფრიკის ხალხთა პოლიტიკური შეგნების მუდმივი ზრდა ჩვენი განვითარების დამაიმედებელი და პოზიტიური ფაქტია. იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ და დამოკიდებულ მდგომარეობაში არიან, ეს შეგნება ისეთ დონეზეა, რომ ექსპლოატატორები ყველა საშუალებით ცდილობენ შეცვალონ ერთი აბრა მეორით, ერთი მარიონეტი მისივე ტოლფასი მეორე მარიონეტით, რათა შექმნან ცვლილებათა ილუზია.

ნამდვილი და სრული დამოუკიდებლობის გზაზე აფრიკას ელობებიან როდეზია, სამხრეთი აფრიკა, პორტუგალია, რომელიც იარაღის ძალით ცდილობს თავისი კოლონიების შენარჩუნებას. მათ მხარს უჭერს იმპერიალიზმი.

ჩვენ, აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის დახმარებით რომ ვეწევით ბრძოლას სამართლიანობისა და თავისუფლების საქმის გამარჯვებისათვის, ვიცით, რომ აფრიკა გადაჭრით უნდა განამტკიცებდეს ანტიიმპერიალისტურ, ანტიკოლონიალისტურ და ანტინეოკოლონიალისტურ ფრონტს, რათა შესაძლებლობა არ მისცეს რეაქციულ ძალებს უკან დაიბრუნონ თუნდაც ერთი გოჯი ჩვენ მიერ ბრძოლით მოპოვებული მიწა.

ჩვენს ჰორიზონტზეა ანძები „ავრორასი", ამ ლეგენდარული ხომალდისა, რომელიც მუდამ მოგვაგონებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განთიადის სახელოვან წელს, დედამიწის ყველა ჩაგრული ხალხისათვის, მათ შორის — აფრიკის ხალხებისთვის რევოლუციების განთიადი რომ გახდა.



ბამბის რაოდენობითა და მოსავლიანობით მალის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს დასავლეთ აფრიკაში.
სურათზე: ბამბის ალება კოლექტიურ მინდორზე.
ფოტო ანიმ-საქდესისა.

## ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წერილი აფრიკელ ქალთა კონფერენციას

ბერლინი, 27 ივლისი. (საქდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს აფრიკელ ქალთა ბრძოლას თანასწორუფლებიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთობის განმტკიცებისათვის. ამ განცხადებას შეიცავს მისასალმებელი წერილი აფრიკელ ქალთა კონფერენციისადმი, რომელიც გაიმართა აფრიკელი ქალის დღის — 31 ივლისის აღსანიშნავად. წერილში მაღალი შეფასება აქვს მიცემული აფრიკელ ქალთა მამაცობასა და თავდადებას, რომლებიც იბრძვიან ამ კონტინენტის ხალხთა განთავისუფლებისათვის.

## ბომბავენ ქებირებსა და კაშხალებს

ჰანოი, 27 ივლისი. (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა დღეს გააკეთა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯებირებისა და საირიგაციო ნაგებობათა ბარბაროსულ დაბომბვას.

განცხადებაში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც სააგენტო „განთავისუფლებას" იმოწმებს, ხათქვამია, რომ მარტო ივნისში ამერიკის თვითმფრინავებმა 64-ჯერ დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 12 პროვინციის ჯებირები, კაშხალები და სხვა საირიგაციო ნაგებობანი.

## მდგომარეობა ნიგერიაში

ლონდონი, 26 ივლისი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს ნიგერიის რადიოს მიერ გადმოცემულ ფედერალური მთავრობის სამხედრო კომუნიკეს და ლაგოსიდან გვატყობინებს, რომ ნიგერიის ფედერალური მთავრობის ჯარებმა დღეს დაიკავეს სანავსადგურო ქალაქი ბონი, სადაც გზავნიან ნავთობს, რომელსაც უცხოეთის კომპანიები აღმოსავლეთ ნიგერიაში იღებენ.

ბონი მდებარეობს 48 კილომეტრზე აღმოსავლეთ ნიგერიის მთავარ ნავსადგურ პორტჰარკორტიდან.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ნიგერიის სამხრეთში მდებარე ეს ქალაქი დაიკავეს მას შემდეგ, რაც გადმოსხეს ცენტრალური მთავრობის შეიარაღებული ძალების საზღვაო დესანტი.

## სამხედრო ხარჯების ზრდის წინააღმდეგ

ბონი, 27 ივლისი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა სამხედრო ხარჯების შემცირებას მოითხოვს. ასეთი დასკვნა გამოიტანეს დღეს დასავლეთგერმანელმა მიმომხილველებმა, რომლებიც იტყობინებიან იმ გამოკითხვის შედეგებს, რომელიც ამას წინათ მოაწყო ვიკერტის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა ტიუბინგენში.

როგორც პრესა აღნიშნავს, 18 წელზე უფროსი ასაკის გამოკითხულთა 51 პროცენტმა „გადაჭრით მოითხოვა თავდაცვის ხარჯების შემცირება". 31 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი არიან „ახლანდელ დონეზე სამხედრო ხარჯების შენარჩუნების" მომხრენი და მხოლოდ 7 პროცენტმა დაუჭირა მხარი დასავლეთ გერმანიის სამხედრო ბიუჯეტის გადიდებას.

## კუბელი ხალხის დღესასწაული

ჰავანა, 27 ივლისი. (საქდესი). გუშინ კუბელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა მონკადის ყაზარმების გმირული შტურმის 14 წლისთავი — ეროვნული აჯანყების დღე. ამ დიდი დღესასწაულის გამო ქალაქ სანტიაგო-დე-კუბაში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

თავისი სიტყვის მეტი ნაწილი მან მიუძღვნა ქვეყნის საშინაო პრობლემებს. ყველაზე ძნელი ჩვენთვის, თქვა ფიდელ კასტრომ, აღმოჩნდა არა ბატისტას ტირანიის დამხობა და რევოლუციური ძალაუფლების მოპოვება, არამედ ახალი ცხოვრების აშენების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ამოცანების შესრულება.

ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა ძველი იდეების, ჩვევების მემკვიდრეობის ლიკვიდაცია. მან ხაზი გაუსვა ახალგაზრდობის აქტიურ როლს კუბაში ახალი საზოგადოების მშენებლობაში. სიტყვაში მოყვანილი იყო მრავალი მონაცემი წარმატებათა შესახებ, რომლებიც კუბელმა ხალხმა მოიპოვა ეკონომიკის განვითარებასა და საქმიანობის სხვა დარგებში.

შემდეგ ფიდელ კასტრო შეეხო რევოლუციური მოძრაობის განვითარებას კონტინენტზე. მან დაგმო კუბელი ხალხის მტრების ცდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია გამოიყენონ ახალი პროვოკაციებისათვის კუბის წინააღმდეგ.

დასასრულ მან გამოთქვა რწმენა, რომ კუბელი ხალხის სიმტკიცე, სიმამაცე, რევოლუციური შეგნება ჩაფუშავს იმპერიალისტთა აგრესიულ გეგმებსა და მათ ცდებს დააშინონ კუბა.



კუბის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები დღედაღამ დგანან რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. სურათზე: „ცის გუშაგი".
ფოტო პრენსა ლატინა-საქდესისა.

## ეროვნული დღე მონრეალის გამოფენაზე

ოტავა, 27 ივლისი. (საქდესი). 26 ივლისს მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე საზეიმო ვითარებაში აღინიშნა კუბის რესპუბლიკის ეროვნული დღე. ერთა მოედანზე გაიმართა „ექსპო-67"-ზე კუბის სახელმწიფო ალმის აღმართვის ცერემონია. ცერემონიას დაესწრნენ დღესასწაულზე ჩამოსული საგარეო ვაჭრობის მინისტრი მარსელო ფერნანდეს ფონტი, აგრეთვე მსოფლიო გამოფენის მონაწილე ქვეყნების გენერალური კომისრები, კანადაში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების ელჩები და მრავალი სტუმარი. ცერემონიაზე გამოსვლისას მსოფლიო გამოფენის გენერალურმა კომისარმა პიერ დიუპუიმ აღნიშნა, რომ კუბამ დიდი წვლილი შეიტანა „ექსპო-67"-ის წარმატებაში. თავის სიტყვაში მარსელო ფერნანდეს ფონტმა მადლობა გადაიხადა კუბის პავილიონის მაღალი შეფასებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს კუბისა და კანადის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და რევოლუციონერი კუბელი ხალხის უკეთ გაგებას, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს.

კუბის დღესასწაულის დღეს მსოფლიო გამოფენის ყველა საუკეთესო საკონცერტო ესტრადები დაეთმო კუბის ხელოვნების ოსტატებს.

## სახელოვანი შრომითი გამარჯვება

ჰავანა, 27 ივლისი. (საქდესი). წინასწარი მონაცემებით კუბამ ამ სეზონში აწარმოვა 6 მილიონ 128 ათასი ტონა შაქარი. ეს შაქრის უველაზე დიდი წარმოებაა უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე, და მესამე — ამ ქვეყნის მთელი ისტორიის განმავლობაში.

ამ და ბევრი სხვა შრომითი გამარჯვებით ხვდებიან დღეს კუნძულის მშრომელნი თავიანთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — ეროვნული აჯანყების დღეს, მონკადის სამხედრო ყაზარმების გმირული იერიშის 14 წლისთავს.

დღესასწაულის წინ კუნძულზე დამთავრდა შაქრის ლერწმის გადამუშავების სეზონი. ორიენტეს პროვინციაში უკანასკნელმა შაქრის ქარხანამ „ნიკარაგუამ" შეწყვიტა მუშაობა.

## ზანგთა პროტესტის ტალღა ძლიერდება

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. საქდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება:

გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდებოდა ზანგთა მღელვარება, რომელიც ქვეყნის ახალ-ახალ რაიონებს მოედო.

დეტროიტში სიმწვავე რამდენადმე დაცხრა, თუმცა მდგომარეობა ისევ დაძაბულია. დღისით ქალაქის დასავლეთ ნაწილში დაიწყო სროლა ზანგთა უბნების მცხოვრებლებსა და პოლიციას შორის, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და გაიქცა. მალე ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა ტანკების დახმარებით დაიკავეს ზანგთა უბნების რაიონები. დაღამების შემდეგ სროლა განახლდა მთელ რიგ ადგილებში.

ქალაქში კვლავ გამოცხადებულია კომენდანტის საათი საღამოს 9-დან დილის 6 საათამდე. ქუჩებში გრუხუნებენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, ხოლო ზევით დაფრინავენ სამხედრო ვერტმფრინავები. 14 ათასამდე პარაშუტისტმა, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს ზანგთა გეტოს და ჩხრეკენ „საეჭვო" პირებსა და ავტომანქანებს, აპატიმრებენ ზანგებს.

ამერიკელ კორესპონდენტთა ცნობებით, ჯარები და პოლიცია სასტიკად ახშობენ დეტროიტის ზანგთა გამოსვლას. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მოგვითხრობს, როგორ დაუშინეს ჯარისკაცებმა ცეცხლი საცხოვრებელ სახლს სრულიად უმიზეზოდ, დაჭრეს 4 მოზრდილი და ერთი ბავშვი. მეორე სახლში იპოვეს ჯარისკაცთა ტყვიებით გაცხრილული 4 წლის გოგონა. პოლიციის ცეცხლით მოკლულია ქალი, რომელიც სასტუმროში იყო თავის ნომერში. ერთ ქუჩაში ჯავშანტრანსპორტიორზე მდგარი ჯარისკაცები ავტომატს უშენდნენ შენობებს. დახოცილთა რიცხვი ქალაქში 37-ს აღწევს, დაჭრილია 1500-ზე მეტი და დაპატიმრებულია 3.300-ზე მეტი კაცი.

დეტროიტი, როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, დაბომბილ ქალაქს წააგავს. ხანძრების შედეგად მთელი უბნები აბოლებულ ნანგრევებადაა ქცეული, ბევრ სახლში ჩალეწილია მინები, შენობები დაცხრილულია ტყვიით. ქალაქისათვის მიყენებული ზარალი 500 მილიონ დოლარს უდრის. ხელისუფალნი ცდილობენ არა მარტო ცეცხლით, არამედ აგრეთვე შიმშილით გატეხონ ზანგთა გეტოს მოსახლეობის წინააღმდეგობა. სპეკულიანტებმა ისარგებლეს სურსათის მწვავე ნაკლებობით და გაადიდეს ფასები.

გუშინ რასობრივი მღელვარება დაიწყო აგრეთვე ცინცინატისა და ფილადელფიის მთელ რიგ რაიონებში. ზანგთა გეტოს მცხოვრებლებისა და პოლიციის შეტაკების შემდეგ ტოლიდოში (ოჰაიოს შტატი) დააპატიმრეს 19 კაცი. კვლავ დაძაბული მდგომარეობაა საუტ-ბენდში (ინდიანის შტატი), სადაც ეროვნული გვარდიის 1000 ჯარისკაცი გამზადებულია საბრძოლველად.

ეროვნულმა გვარდიამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი კემბრიჯში (მერილენდის შტატი) ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად გამართული მიტინგის გარეკვის მიზნით. ფინიქსში (არიზონის შტატი) საგანგებო წესები შემოიღეს მას შემდეგ, რაც იქ მოხდა ზანგი მოსახლეობის შეტაკება პოლიციასთან.

## კვიპროსი საფრთხეშია

ნიქოზია, 26 ივლისი. (საქდესი). კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა პაპაიოანუმ განაცხადა, რომ ამჟამად კვიპროსი განსაკუთრებით დიდ საფრთხეშია, წერს გაზეთი „ხარავგი". ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული საქმიანობა ამ რაიონში მიზნად ისახავს პროგრესულ მთავრობათა დამხობას და რეაქციული რეჟიმების დამკვიდრებას.

პაპაიოანუმ ხაზი გაუსვა, რომ კვიპროსის ხსნა გაყოფისა და დაკაბალებისაგან შეიძლება მხოლოდ წინააღმდეგობის შინაგანი ფრონტის ერთობის განმტკიცებით. მან აღნიშნა, რომ კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია მხარს უჭერს პრეზიდენტ მაკარიოსსა და მის მთავრობას და დახმარებას აღუთქვამს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები, აგრეთვე მიუმხრობელი ქვეყნები კვიპროსის მხარეზე არიან და ეხმარებიან.

## მშრომელთა ინტერესების მიუხედავად

რომი, 27 ივლისი. (საქდესი). მთავრობის ხმების უმრავლესობით იტალიის სენატმა გუშინ მიიღო კანონპროექტი ბინის ქირის მომატების შეზღუდვების გაუქმების შესახებ. ახალი კანონი, რომელიც ვრცელდება დაახლოებით 600.000 ბინაზე, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მშრომელთა მატერიალურ ინტერესებს, ვინაიდან გზას უხსნის ბინის სპეკულიანტთა უკონტროლო თვითნებობას.

## აგრესორი — გაეცალოს არაბთა ტერიტორიას!

პრაღა, 27 ივლისი. (საქდესი). პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფდა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის ყველა შედეგის ლიკვიდაციას, განსაკუთრებით ისრაელის ჯარების გაყვანას, ეკისრებათ უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამ პასუხისმგებლობას იზიარებს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მოკავშირე, რომლებიც მხარს უჭერდნენ ისრაელის აგრესიას, აგრეთვე სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განხილვისა და კენჭისყრის დროს დაემორჩილნენ ამერიკის შეერთებული შტატების უხეშ ზემოქმედებასა და შანტაჟს.

ეს განაცხადა გუშინ მთავრობის სხდომაზე ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. დავიდმა, რომელმაც დაახასიათა ახლანდელი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის შედეგები.

მშვიდობისმოყვარე ძალებმა დაუცხრომლად უნდა იბრძოლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპების მტკიცედ დაცვისათვის, იმისათვის, რომ აიძულონ აგრესორი გაიყვანოს თავისი ჯარები არაბთა ტერიტორიიდან და აღდგენილ იქნას მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად, განაცხადა ვ. დავიდმა, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა აიძულოს აგრესორი, რომ დატოვოს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორია.

ჩვენ კვლავაც გავუწევთ არაბულ სახელმწიფოებს პოლიტიკურ მხარდაჭერას და დავეხმარებით ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში ამ სახელმწიფოების უშიშროების უზრუნველსაყოფად, მხარს დავუჭერთ სამართლიან ბრძოლას არაბ ხალხთა კანონიერი უფლებების დასაცავად.

## იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის განცხადება

რომი, 27 ივლისი. (საქდესი). ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის გზა დახშული იქნება, ხანამ ისრაელის მთავრობას ჯარები ეყოლება არაბული ქვეყნების ტერიტორიაზე და ხელს არ აიღებს ცდებზე მეზობელ ქვეყნებს ძალით მოახვიოს თავს თავისი პრეტენზიები. ეს ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის განცხადებაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „უნიტამ" იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს კაიროში ჩავიდა იტალიის კომპარტიის დელეგაცია, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სირიაში გაემგზავრა.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ, ნათქვამია განცხადებაში, განიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა, სადაც მწვავდება კრიზისი იმასთან დაკავშირებით, რომ თელ-ავივის მთავრობა დაჟინებით აცხადებს უარს გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ორი რეზოლუცია, რომელთა შესაბამისად ისრაელმა უარი უნდა თქვას იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილის ანექსიაზე.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ისრაელის მთავრობის ცდა ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით განახორციელოს „მომხდარი ფაქტის" პოლიტიკა, მთავარი დაბრკოლებაა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის გზაზე და ქმნის ახალი შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობა, აღნიშნულია განცხადებაში, სოლიდარობას უცხადებს არაბ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

## რკალი ვიწროვდება

ბრაზავილი, 27 ივლისი. (საქდესი). სოფელ იტებეროს რაიონში, 180 კილომეტრზე ქალაქ ბუკავუს (აღმოსავლეთი კონგო) ჩრდილო-დასავლეთით, მოხდა კონგოს არმიის ჯარისკაცების, თეთრკანიან დაქირავებულთა რაზმისა და ყოფილ კატანგელ ჟანდარმთა შეტაკება, რომლებიც ჯუნგლებში იმალებოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლის ჩახშობის შემდეგ. როგორც კინშასის რადიო იუწყება, დაქირავებულნი ცდილობდნენ გაერღვიათ კონგოს არმიის ნაწილების რკალი, რომელიც მათ გარშემო ვიწროვდებოდა. დაქირავებულებს ოთხი კაცი მოუკლეს. მათ უკან დაიხიეს და ტყეს შეეფარნენ. შეტაკების დროს დაიღუპა კონგოს არმიის ორი ჯარისკაცი.

დაქირავებულებმა კვლავ წაიყვანეს ტყეში მძევლების ჯგუფი, რომლებსაც სროლის დროს იყენებდნენ საფარად.

## „რუდე პრავო" ჩინეთის „კულტურული რევოლუციის" შესახებ

პრაღა, 26 ივლისი. (საქდესი). „ჩინეთის პრესტიჟი სულ უფრო ეცემა", — წერს დღეს გაზეთი „რუდე პრავო" ჩინეთის „კულტურული რევოლუციისადმი" მიძღვნილ სტატიაში.

უკანასკნელი კვირების ამბები, წერს გაზეთი, მკაფიოდ მოწმობს, რომ ჩინეთის მეზობელ ქვეყნებში „კულტურული რევოლუციის" ექსპორტის ცდებმა მნიშვნელოვნად დასცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესტიჟი. ეგრეთ წოდებული „კულტურული რევოლუციის" ერთ-ერთი შედეგია, რომ თანდათანობით ეცემა ჩინეთის კომპარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობის პრესტიჟი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, იმ პარტიებშიც კი, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინათ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ჩინეთის კომპარტიასთან. ახლა ეს პარტიებიც კი დაუპირისპირდნენ მაო ძედუნის ჯგუფის ულტრამემარცხენულ, ავანტიურისტულ, ანტიმარქსისტულ გამთიშველ ხაზს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობაში.

„რუდე პრავო" შემდეგ წერს, რომ დიდმპყრობელურ შოვინისტურ პოლიტიკას, რომელსაც ჩინეთის კომპარტიის მაოძედუნისტური ხელმძღვანელობა ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობაში, საერთო არა აქვს რა კლასობრივ მარქსისტულ პოზიციასთან და ხელს არ უწყობს რევოლუციური რიგების გაერთიანებას. ამასთან დაკავშირებით გაზეთი აანალიზებს ჩინეთის პოლიტიკას ბირმისა და ნეპალის მიმართ.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა „კულტურულ რევოლუციას" თავის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად იყენებს, და წერს: თუმცა ამტკიცებენ, „კულტურულ რევოლუციას" ანტიიმპერიალისტური ხასიათი აქვსო, პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ „კულტურული რევოლუციის" მახვილი უწინარეს ყოვლისა მიმართულია სოციალისტური ქვეყნებისა და იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მიუმხრობლობის პოლიტიკას ადგანან. პეკინის პოლიტიკა არ აძლიერებს ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, პირიქით, არღვევს სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ხალხთა სოლიდარობას და ეხმარება რეაქციულ ძალებს.

## ბირმაში აღშფოთებული არიან

რანგუნი, 26 ივლისი. (საქდესი). ბირმაში მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაციები იმართება მაოძედუნელთა პროპაგანდის, პეკინის რადიოს გაბოროტებული ანტიბირმული გადაცემების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. აღშფოთებულ მცხოვრებთა დემონსტრაციები ახლა დიდი ქალაქებიდან ქვეყნის სასოფლო რაიონებსა და ეროვნულ განაპირა მხარეებს მოედო. პეკინის დიდმპყრობელურ შოვინისტურ გეგმებს გმობენ და რევოლუციური საბჭოს მთავრობაზე თავდასხმების წინააღმდეგ მკაცრ პროტესტს აცხადებენ ბირმელებთან ერთად კაჩინები, შანები, კარენები და სხვა ეროვნებანი. მიჩინში, პაანსა და სხვა ქალაქებში გაიმართა აგრეთვე ჩინური ეროვნების მცხოვრებთა მიტინგები, რომელთა მონაწილეებმა დაგმეს მაოძედუნიზმი და ერთგულება გამოუცხადეს ბირმის კავშირის მთავრობას.

## შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

სტოკჰოლმი, 26 ივლისი. (საქდესი). შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ 23 ივლისს დემონსტრანტებმა პეკინში დააკავეს შვეციის ატაშე კულტურის საკითხებში სიგურდსონი და ჩრდილოეთის ქვეყნების დეპეშათა სააგენტოების პეკინელი კორესპონდენტი, ნორვეგიელი ჟურნალისტი მუნტე-კოსი და შეურაცხყვეს ისინი.

ნოტაში გამოთქმულია აგრეთვე შეშფოთება იმის გამო, რომ ჩრდილოეთის ქვეყნების დეპეშათა სააგენტოების პეკინელ წარმომადგენლებს ხელს უშლიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.

# თავისუფლება ელადას!

თბილისის № 1 საკონსერვო ქარხანაში გაიმართა ბერძენ პატრიოტებთან სოლიდარობის მიტინგი, რომლებიც იბრძვიან საბერძნეთში დემოკრატიულ უფლებათა აღდგენისათვის. მიტინგი გახსნა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა მ. სარნოვმა.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — ისე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, გულისწყრომით გმობს ფაშისტ მმართველთა მოქმედებას საბერძნეთში. საპყრობილეებში აღმოჩნდნენ შრომისა და თავისუფლებისმოყვარე ბერძენი ხალხის საუკეთესო ქალიშვილები და ჭაბუკები. ბოლო უნდა მოეღოს სამხედრო-მონარქისტული ხუნტის ამ მხეცურ მოქმედებას. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხი.

— მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ გულისწყრომას იწვევს საბერძნეთის ფაშისტური მმართველი წრეების ცინიკური მოქმედება, — თქვა მზა პროდუქციის საწყობის მუშამ ა. მარტისიანმა. — სწორედ ახლახან გაზეთებში გამოქვეყნდა საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პატაკოსის თავხედური გამოსვლა, რომელმაც საჯაროდ განაცხადა საპყრობილეებში ამოვალპობ ათასობით პოლიტპატიმარს მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ღალატობენ თავიანთ რწმენას, თავისუფლება სწყურიათ.

— ხმელთაშუა ზღვის კუნძული იურა, — განაცხადა ინჟინერმა ტ. მაკაროვმა, — გადაქცეულია ელადელ პატრიოტთა გაჟლეტის ბანაკად. დაე იცოდნენ იმპერიალისტებმა და მათმა ფაშისტმა დამქაშებმა, რომ მთელი საბჭოთა ხალხი ჩაგრულთა მხარეზეა. თავისუფლება საბერძნეთის ეროვნულ გმირს მანოლის გლეზოსს!

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ბერძენ ხალხს, ბერძენი ხალხის მისწრაფებას დაიცვას თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

სალდაფონებმა არ უნდა მართონ ელადა! ასეთი იდეით იყო გამსჭვალული საბერძნეთში ფაშისტური თვითნებობის წინააღმდეგ მიტინგი, რომელიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა.

— გაზეთებსა და რადიოს მოაქვს ცნობები სამხედრო-მონარქიული ხუნტის ფვითნებობის შესახებ, — თქვა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანმა რ. გელოვანმა, როცა მიტინგი გახსნა. — მთელმა მსოფლიომ შეიტყო შავბნელი კუნძულის იურას სახელი, რომელიც საბერძნეთის პროგრესული ძალების საპყრობილე გახდა. ამ მრავალტანჯული ქვეყნის საუკეთესო შვილები იტანჯებიან მავთულხლართებს მიღმა.

საბერძნეთის დემოკრატ მებრძოლებს სოლიდარობა გამოუცხადეს აგრეთვე მეცნიერებისა, პროპაგანდის, მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების სამმართველოს თანამშრომელმა კ. ბახუტაშვილმა, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს აგრონომმა გ. სურგულაძემ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ბერძენ ხალხს თავისუფლებისათვის სამართლიან ბრძოლაში.

მრისხანე პროტესტი გამოთქვეს კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებითმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა მიტინგზე საბერძნეთში ფაშისტურ-მონარქიული რეაქციის თარეშის წინააღმდეგ.

— ელადის ძველ მიწაზე მძვინვარებს რეაქცია, — თქვა კინოსტუდიის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ზ. ყუფარაძემ, რომელმაც მიტინგი გახსნა. — ათასობით თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი დაპატიმრებულია. ბერძენი ხალხის გამოჩენილ შვილს, აკროპოლის გმირს, მშვიდობის მგზნებარე მებრძოლს მანოლის გლეზოსსა და სხვა დემოკრატებს სიკვდილის საფრთხე მოელის. საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი არ დაუშვებს ამას.

ტრიბუნაზეა უხუცესი კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი.

— დიდი აღშფოთებით შევიტყვეთ უკანასკნელი ამბები, რომლებიც საბერძნეთიდან მოდის. სამხედრო გადატრიალება, რომელიც რამდენიმე თვის წინათ მოხდა საბერძნეთში ამერიკის იმპერიალიზმის მხარდაჭერით, მიმართულია ბერძენი ხალხის, მისი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ. გულწრფელ ინტერნაციონალურ სოლიდარობას ვუცხადებთ ბერძენ ხალხს და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აღადგინონ დემოკრატია, გაათავისუფლონ მანოლის გლეზოსი და სხვა პროგრესული მოღვაწენი.

— გულისწყრომით ვგმობთ საბერძნეთის სამხედრო ფაშისტური გადატრიალების ორგანიზატორებს, — თქვა მიტინგზე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს. დოლიძემ, — და მოვითხოვთ გაათავისუფლონ ყველა დაპატიმრებული, აღადგინონ კონსტიტუციური და საპარლამენტო თავისუფლებანი.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვამენ რწმენას, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ბერძენი ხალხი მოიპოვებს კონსტიტუციურ უფლებებს.

## მშრომელთა მიტინგები საბერძნეთში ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

ბათუმი, 27 ივლისი. საბერძნეთის ახლანდელი სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი საბერძნეთის დემოკრატიული ძალების მხარდაჭერის ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხანაში.

— სამი თვე გავიდა აპრილის იმ ტრაგიკული ღამის შემდეგ, როცა გენერალ პატაკოსის ტანკები ათენში შეიჭრნენ, — თქვა ზეინკალმა კ. გურჩელიძემ, — ელადის მიწა-წყალი უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად გადაიქცა. მშრომელი ბერძენი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ჩაყრილია საპყრობილეებში, ბევრ მათგანს სიკვდილი ემუქრება.

არ შეიძლება არ აღელვებდეს თითოეულ პატიოსან ადამიანს, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, ის ამბავი, რაც ამჟამად საბერძნეთში ხდება. ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები აღშფოთებული არიან ბერძენი ხალხის ჯალათების თავხედური მოქმედებით. მოვითხოვთ დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენას საბერძნეთში, მასობრივი პოლიციური რეპრესიების შეწყვეტას, პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, — ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში. (საქდესი).



ამჟამად სპორტის მოყვარულთა მთელი ყურადღება მიპყრობილია მოსკოვისადმი, სადაც უკვე მეოცე დღეა მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადა.

წინა, 1963 წლის სპარტაკიადის შემდეგ შესამჩნევად ამაღლდა საბჭოთა ფიზკულტურელების სპორტული მაჩვენებლები. გაიზარდა საიუბილეო სპარტაკიადის ფინალის მონაწილეთა რიცხვიც. ახლა ფინალში 19 ათასი კაცი გამოდის. 1963 წელს კი 10 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. წინა სპარტაკიადასთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეობათა რიცხვიც. ამიტომ იყო, რომ მოსკოვში ჩამოსულმა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პოლ ლიბომ თქვა, ასეთი ასპარეზობა ძნელია რამეს შეადაროო. მისი გრანდიოზულობის, მისდამი გამოწვეული დიდი ინტერესის აღქმა კი ამ სურათიდანაც შეიძლება.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# იდღეგრძელეთ, შვილებო!

ხანდაზმული ქალი კარის დირეს გადმოსცდა, იქვე დერეფანში შეჩერდა, თვალები ხელით მოიჩრდილა. ეუცხოვა, როცა საკუთარ ეზოში თავმოყრილი გოგო-ბიჭები და სოფლის მასწავლებელი ციალა ზუმლიაშვილი დაინახა.

— დილა მშვიდობისა, ნათელა ბაბო! — მიესალმნენ ბავშვები.

— იცოცხლეთ, მშვიდობა ნუ მოგიშალოთ გამჩენმა, — ტკბილად მიაგება პასუხი ნათელა გუგულაშვილმა და ნელი ნაბიჯებით წავიდა სტუმრებისაკენ. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. გაკვირვებული ქალი ხან ერთ ბავშვს უყურებდა, ხან მეორეს.

— ჩვენი სკოლის მოსწავლეები არიან. დიდი სურვილი აქვთ დღეს თქვენთან იმუშაონ. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს დავეხმაროთო.

ჯარისკაცის ქვრივი კვლავ დუმდა. მადლიერი თვალებით უყურებდა ბავშვებს და გუნებაში ლოცავდა მათ. ეს მერამდენედ აუხდა მეუღლის ნათქვამი, თუ ვეღარ დავბრუნდი, ნუ შეგეშინდება, სოფელი დიდია, უყურადღებოდ არავინ დაგტოვებსო. მართლაც, მეტეხის კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით სოფელში ბევრ დაობლებულ ოჯახს დაეხმარნენ. ნათელას კი ნება დართეს ელექტროსინათლით უფასოდ ესარგებლა.

ახლა ამ მოსწავლეებს გადაუწყვეტიათ ვენახი უნდა დაგიბაროთო. ნათელა ცოტახნით დერეფანში შეტრიალდა და შემდეგ მოსწავლეებს ვენახისკენ გაუძღვა; ციალა კი სკოლაში დაბრუნდა.

...ნათელას ახალგაზრდული წლები დაუბრუნდა. ბავშვების დახმარებით გახარებულმა მარცხენა ხელით თვითონაც ბევრი იმუშავა. მუშაობდა დაახსენდებოდა თავისი განვლილი გზა. უფრო მძიმე ფიქრი მაინც ის იყო, 1941 წლის ივნისი რომ გაახსენდა. სოფლის ვაჟკაცები ომში წავიდნენ. მალე ნათელას მეუღლის ჯერიც დადგა. ნიკოლოზს უკანასკნელად ამ ვენახში ესაუბრა. ნაძალადევი ღიმილით უთხრა მაშინ ნიკოლოზმა:

— ჩემ დაბრუნებამდე ამ ვენახს ნუ გამიტიალებ. ეს დალოცვილი წელს პირველ მოსავალს მოგვცემს, როთელს მაინც დავსწრებოდი...

ეს იყო და ეს. მას შემდეგ ნათელას ნიკოლოზი აღარ უნახავს. ორი შვილი დარჩა. უფროსი ორი წლისა იყო, უმცროსი — წლინახევრისა. ოჯახი ნათელამ იტვირთა. დილიდან საღამომდე ჯარასავით ტრიალებდა. ცდილობდა შვილებს უმამობა არ დასტყობოდათ. უთენია მიდიოდა მეტეხის სამშენ მასალათა კომბინატში. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ვენახში გაივლიდა ხოლმე. იქაც წაიმუშავებდა და საღამოს გვიან შედიოდა სახლში. ბევრჯერ ლამპაში ნავთიც არა ჰქონდა, ოჯახში ახლა მთვარის შუქზე საქმობდა. ასე გადიოდა წლები, ნათელა მოუთმენლად ელოდა ომის დამთავრებას, მეუღლის გზას გაჰყურებდა, მაგრამ მის მაგივრად დაღუპვის დეპეშა შერჩა ხელში...

რამდენიმე ხნის შემდეგ კი ნათელას კვლავ უბედურება დაატყდა. მეტეხის სამშენ მასალათა კომბინატში მუშაობის დროს კრამიტის საწნეხში მოუყვა მარჯვენა ხელი და ჯანმრთელი ქალი საბოლოოდ დაინვალიდდა. ორი შვილი მაინც გაუზარდა ნიკოლოზს. ახლა ისინი დედისაგან ხშირად შორს არიან, მაგრამ ნათელა მაინც მარტო არ არის. მთელი სოფელია მასთან. ნათელას ლოდივით აწვა გულზე, რომ ვენახი დასამუშავებელი ჰქონდა, და ეს დარდიც მოაცილეს.

ვაზების მწკრივებში ვაჟკაცებივით ჩადგნენ მოსწავლეები და ბარებით მარჯვედ აბრუნებდნენ ბელტებს. მთელი დღე იმუშავეს. გაჰყურებდა ნათელა ახალდაბარულ ვენახს და მეტი სიხარულით აღარ იცოდა ვისთვის რა ეთქვა. როცა ახალგაზრდებმა ვენახის თითო მწკრივი დაბარეს ბოლოში დაბრუნდნენ, ნათელას გარს შემოეხვივნენ. მან ისლა მოახერხა, რომ ხმამაღლა დალოცა მოსწავლეები.

— იდღეგრძელეთ, შვილებო! დღეს დიდი დარდი მომაცილეთ.

— თოხნაშიც დაგეხმარებით, ნათელა ბაბო. სხვა საქმესაც გაგიკეთებთ, — აღუთქვეს ბავშვებმა ჯარისკაცის ქვრივს და წასასვლელად მოემზადნენ.

მზეს მთების გადაღმა მიეფარებოდა. საღამოს ნიავმა მახარობელივით ჩამოირბინა ვენახში, ბებერ ვაზებს ნორჩი ყლორტები შეურხია. ბავშვებმა ბარები მხარზე გაიდეს და ნათელასთან ერთად ამაყად გაუყვნენ სოფლისკენ მიმავალ გზას მეტეხის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეები.

**რ. ბასილაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## დახმარება დედებს

მიმდინარე წლის ხუთ თვეში ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე გასცა 22.767 მანეთი.

დიდი რაოდენობით მიიღეს ფულადი დახმარება მრავალშვილიანმა დედებმა დ. გზირიშვილმა, ფ. რადუაბოვამ, უ. თვაურმა და სხვებმა.

**გ. ბურასპიშვილი.**

### სპარტაკიადის დღეები

# მოზეიმე ლუჟნიკი

**დ**იდი სპორტული ზეიმის მოლოდინშია მოსკოვი, ლუჟნიკი. დედაქალაქს თითქმის არ ახსოვს სპორტსმენთა ასეთი უჩვეულო ფორუმი, სპარტაკიადის გრანდიოზულობა, მრავალფეროვნება. სხვანაირად არც შეიძლება. სპარტაკიადა ხომ საიუბილეოა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმია მიძღვნილი. სტადიონებსა და სპორტულ ბაზებზე უკვე ოცი დღეა არ შენელებულა მიმზიდველი მასობრივი ასპარეზობანი.

სპარტაკიადის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას კი მაინც წარმოადგენს მისი ოფიციალური გახსნა, ალმის აღმართვა, მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციების პარადი, შემდეგ კი მასობრივი გამოსვლები, რის მოწმენიც წვალ ვიქნებით ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

სპარტაკიადის გახსნის ზეიმს იგრძნობთ არა მარტო ლუჟნიკსა და მის მიდამოებში, არამედ ყველგან. მთავარ მაგისტრალებს ამშვენებს ალისფერი ალმები, პლაკატები, ლოზუნგები. გამოფენები გვაუწყებენ ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა სპორტის არნახულ აღმავლობას, მის მასობრიობას. მომხიბვლელია თვითონ ლუჟნიკი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასე ლამაზი და მიმზიდველი იგი არასოდეს არ ყოფილა. დროშების ტყე, გამოფენა, სპარტაკიადის ემბლემები, სახელოვან სპორტსმენთა პორტრეტები, მოპოვებულ წარმატებათა მაჩვენებლები და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ ამშვენებს მას. ორი დღით ადრე აქ შედგა გახსნის გრანდიოზული რეპეტიცია. მართლაც წარმტაცი რამ იყო.

ახლა კი საუბარი გადავიტანოთ უშუალოდ ასპარეზობებზე, გამარჯვებებზე, ქულებზე, მედლებზე.

აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველოს გუნდი განმტკიცდა მისთვის ჩვეულ მეხუთე ადგილზე. თუ აქამდე ამ ადგილზე მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგების წყალობით ვიყავით, ხოლო მოზრდილთა მაჩვენებლებით მეთორმეტე, მეთერთმეტე და ბოლოს მეცხრე ადგილზე ვიმყოფებოდით, ახლა ჩვენმა კოლექტივმა მოზრდილთა შეხვედრებითაც დაიკავა თავისი ჩვეული — მეხუთე ადგილი. როგორ წარიმართება ბრძოლა შემდეგში, მეხუთე ადგილი მყარი აღმოჩნდება თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივი უახლოეს მეტოქეებს — ბელორუსიისა და ყაზახეთის გუნდებს 14 და 25,5 ქულით უსწრებს.

**როგორი მდგომარეობაა მედლების განაწილების მიხედვით?**

თუ ადრე საქართველოს მაჩვენებლები არცთუ სახარბიელო იყო, ეს ნაწილობრივ გამოსწორდა, ჩვენს მედლებში ოქროც გამოკრთა. აი როგორ გამოიყურებოდა 27 ივლისისათვის მედლების განაწილების სატურნირო ცხრილი: მოსკოვი — 99, უკრაინა — 76, რსფსრ — 73, ესტონეთი — 32, ლენინგრადი — 31, ლიტვა — 20, ლატვია — 19, ყაზახეთი — 16, მოლდავეთი — 12, აზერბაიჯანი — 11, ბელორუსია — 7, უზბეკეთი — 6, საქართველო — 5, ტაჯიკეთი — 1. სომხეთს, თურქმენეთსა და ყირგიზეთს არც ერთი მედალი არა აქვთ. ჩვენი სპორტსმენების ხუთი მედლიდან ერთი ოქროსი გახლავთ, ორი — ვერცხლისა და ორი — ბრინჯაოსი.

ხუთჭიდელებმა ბრძოლა მძლეოსნური კროსით დაამთავრეს. პირად ჩათვლაში უძლიერესთა ექვსეულში საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ მოხვდა. პირველი იყო მოსკოველი ე. სდობნიკოვი — 5.052 ქულა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უკრაინის ხუთჭიდელთა კოლექტივმა — 14.592 ქულა. საქართველოს გუნდი 18.404 ქულით მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა. ეს უკვე უკან გადადგმული ნაბიჯია, რადგან პირველ სპარტაკიადაზე ჩვენს ხუთჭიდელებს მეშვიდე ადგილი ეჭირათ, მეორეზე — მეხუთე, მესამეზე — მეათე.

დღეს წყალბურთელები განაგრძობდნენ ბრძოლას. აზერბაიჯანელებთან მატჩში წარუმატებლობამ საქართველოს წყალბურთელთა სატურნირო მდგომარეობაში თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი პირველ ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდნენ. დღეს მათ დაამარცხეს თურქმენეთის გუნდი — 5:1. ორი ტურის შემდეგ პირველ ჯგუფში ლიდერები იყვნენ რსფსრ-ისა და მოსკოვის გუნდები, მეორე ჯგუფში — აზერბაიჯანელები, მესამე ჯგუფში — უკრაინელები და ყაზახები.

ტანმოვარჯიშე ქალებმა დაამთავრეს ტურნირი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. ჯანუყაშვილმა დვირზე ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებისას შეცდომა დაუშვა, მიიღო შედარებით დაბალი შეფასება და უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდა. აი როგორ განაწილდა ადგილები: ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ნ. კუჩინსკაია — 76.9 ქულა, მეორე იყო ლ. პეტრიკი (ბელორუსია), მესამე — პ. ასტახოვა (უკრაინა). გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ მოსკოველები. საქართველოს ქალთა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. ჩვენი ვაჟთა გუნდი სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ მეოთხე ადგილზე იყო.

ჩვენს მოჭადრაკეებს ფაქტიურად გარანტირებული აქვთ ფინალურ ჯგუფში გასვლა. იმ ჯგუფში, სადაც საქართველოს მოჭადრაკეები გამოდიან, პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ძლიერმა კოლექტივმა. ველომრბოლთა შეჯიბრებაში საინტერესო გამოდგა გიტი ათას მეტრზე ადგილიდან ვაჟთათვის. გაიმარჯვა ა. აგაპოვმა (რსფსრ), ო. ფხაკაძე მეორე იყო. გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს კოლექტივი, რსფსრ-ისა და უკრაინის გუნდების შემდეგ, მესამე ადგილზეა. ცურვაში ჩვენი გუნდი 27 ივლისისათვის მეცხრე ადგილზე იმყოფებოდა. რაპირით ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა ბ. სვეშნიკოვი.

დღეს სპარტაკიადაზე სპორტის 13 სახეობაში მიმდინარეობდა შეჯიბრება. ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, გუნდურ პირველობის ჩოგბურთში, ფინიში ჰქონდა. საქართველოსა და ესტონეთის, მოსკოვისა და რსფსრ-ის გუნდებმა დაამთავრეს უამინდობის გამო წინა დღეებში გადადებული მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელებმა შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი კარგად ჩაატარეს, გაიმარჯვეს — 6:4 და მეორე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზეა მოსკოვის გუნდი.

ველოტრეკზე ბრძოლაში ჩაებნენ სპრინტერები, გაიმართა წინასწარი რბოლები. ო. ფხაკაძემ ადვილად მოიგო რბოლა და ოქროს მედლისათვის ბრძოლის მომდევნო ეტაპში გავიდა. ასეთივე უფლება მოიპოვა ჩვენი გუნდის სხვა სამმა წევრმაც, მაგრამ დამამშვიდებელ სერიაში გამარჯვებით.

დილით მოჭადრაკეთა ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. საქართველოს გუნდმა სძლია თურქმენეთის გუნდს — 8,5:1,5, ხოლო მოსკოვის გუნდმა — უზბეკეთის გუნდს — 7:3.

**ვ. გაბელია,**
„კომუნისტის" სპეც. კორ.
მოსკოვი, 27 ივლისი.



სპარტაკიადაზე მაყურებელი მოხიბლა ქართველი ტანმოვარჯიშის ა. ჯანუყაშვილის გამოსვლამ სავალდებულო ვარჯიშში. შეჯიბრების პირველ დღეს, დილის ასპარეზობაში იგი ლიდერიც კი იყო. მართალია, საბოლოოდ ამ ვარჯიშში მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ ეს არცთუ ცუდი შედეგია, რამდენადაც ბრძოლა მხოლოდ ისეთ ძლიერ მეტოქეებთან დათმო, როგორიც არიან ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი და პ. ასტახოვა.

სურათზე: ა. ჯანუყაშვილი დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### ქულები...

**მდგომარეობა 27 ივლისისათვის**

1. მოსკოვი — 460 ქულა
2. უკრაინა — 431
3. რსფსრ — 428
4. ლენინგრადი — 357
5. საქართველო — 320
6. ბელორუსია — 306
7. ყაზახეთი — 294,5
8. ლიტვა — 294
9. ლატვია — 272
10. უზბეკეთი — 263,5
11. ესტონეთი — 252
12. აზერბაიჯანი — 242
13. სომხეთი — 178
14. მოლდავეთი — 156
15. ყირგიზეთის — 144
16. თურქმენეთი — 106
17. ტაჯიკეთი — 103

# დღეს დიდი ფეხბურთია

**დღეს** ვროცლავში საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

დღემდე საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ეროვნული ნაკრები გუნდები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ოთხჯერ გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა და მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას პოლონელებმა.

სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი ვროცლავიდან **გადმოცემული იქნება ტელევიზიით დღეს საღამოს 8 საათზე თბილისის დროით.** ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება 4 აგვისტოს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადის საზეიმო დახურვის შემდეგ.

# ბრძოლა გამწვავდა

ჩეხოსლოვაკიაში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე რუმინეთ-ჩეხოსლოვაკიის გუნდების გადადებული პარტია კვლავ შეწყდა. ანგარიშია 3:0 რუმინეთის გუნდის სასარგებლოდ. მეხუთე ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ინგლისი-დანია — 4:0, იუგოსლავია-ბულგარეთი — 2:2, ამერიკის შეერთებული შტატები-შვეცია — 2:2, სსრ კავშირი-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 3,5:0,5.

მეექვსე ტურში ჩვენი მოჭადრაკეები დამარცხდნენ 1:3 ინგლისელებთან, რუმინელებმა გაიმარჯვეს ბულგარელებთან ანგარიშით 2,5:1,5. ამ ტურის დანარჩენი სამი შეხვედრა გადაიდო.

დღეისათვის გუნდების მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 15 ქულა, ამერიკის შეერთებული შტატები — 14,5 (ერთი გადადებული პარტია), იუგოსლავია — 12,5 ქულა (ერთი გადადებული პარტია), ბულგარეთი — 12,5 ქულა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 12 ქულა (ორი გადადებული პარტია), ინგლისი — 12 ქულა, ჩეხოსლოვაკია — 11,5 (ერთი გადადებული პარტია), რუმინეთი — 11 ქულა (ერთი გადადებული პარტია), შვეცია — 7,5 ქულა (ორი გადადებული პარტია), დანია — 6,5 ქულა (ერთი გადადებული პარტია).

## ქართველ რკინიგზელთა გამარჯვება

თბილისის „ლოკომოტივის" წყალბურთელთა გუნდი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფება იუგოსლავიაში. ქალაქ სუბოტიცაში ქართველი სპორტსმენები შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკის" წყალბურთელებს. მატჩი დამთავრდა „ლოკომოტივის" გამარჯვებით ანგარიშით 7:6.

## „დინამო" — „ნეფტიანიკი"

გუშინ მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი დედაქალაქის „დინამო" შეხვდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს ბაქოს „ნეფტიანიკს". თამაში მიმდინარეობდა დაძაბულად. მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 0:0. მეორე ტაიმში მოსკოველთა თავდამსხმელმა გ. ევრიუჟიხინმა მეთვრამეტე და ოცდამეთოთხმეტე წუთებზე ბაქოელთა კარში გაიტანა ორი ბურთი. შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

## „ბ" კლასის ფეხბურთელთა ჩემპიონატი

**გაიმართა** „ბ" კლასის მეოთხე ზონის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები. გორში ადგილობრივმა „დილამ" 2:0 მოუგო ფოთის „კოლხიდას", ჭიათურის „მაღაროელისა" და ქობულეთის „შუქურას" შეხვედრაში გაიმარჯვეს ჭიათურელებმა ანგარიშით 1:0. მახაჩკალაში ადგილობრივმა „დინამომ" მოუგო გურჯაანის „ალაზანს" — 3:0, დერბენტის „უროჟაიმ" — რუსთავის „მეტალურგს" — 2:0, ამავე ანგარიშით ლანჩხუთის „გურიამ" გაიმარჯვა ერევნის „არაქსთან", ზუგდიდის „ენგურმა" 6:0 მოუგო კაფანის „ლერნაგორცს", კისლოვოდსკის „სპარტაკისა" და სოხუმის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა 1:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

## სპორტული ქრონიკა

◆ **სტოკჰოლმში** გაიმართა „250" კბ სმ მანქანებით მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპი, რომელშიც გაიმარჯვა შვედმა ტ. ჰალმანმა. ამ წარმატების შემდეგ შვედი დაეწია ჩემპიონატის ლიდერს ბელგიელ ჟ. რობერს. თითეულს 44-44 ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა უ. პეტერსონი — 34 ქულა, მეოთხე ადგილზეა საბჭოთა მოტოკროსმენი ვიქტორ არბეკოვი — 25 ქულა. მეორე საბჭოთა სპორტსმენი ლეონიდ შინკარენკო მეექვსე ადგილზეა.

◆ **მიმდინარე** სპორტული სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა ევროპაში 800 მეტრზე რბენაში ბელგიელმა ა. დე ერტოგმა — 1.46,7.

◆ **ევროპის** ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენმა ლ. ვესტერმანმა ქალაქ ზოლინგენში გამართულ შეჯიბრებაში ბადრო ტყორცნა 58 მეტრსა და 55 სანტიმეტრზე. ეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი რეკორდია, სეზონის საუკეთესო შედეგია ევროპაში და მესამე შედეგია საერთოდ მძლეოსნობის ისტორიაში.

◆ **კანადაში** დაიწყო პანამერიკული თამაშები. მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის გუნდების ბეისბოლისტთა მატჩმა. წინა პანამერიკულ თამაშებზე კუბელებმა დამარცხება აწვნიეს ამერიკის შეერთებული შტატების ბეისბოლისტებს. ამერიკელთა ცდა ბედით რევანში უნაყოფო გამოდგა. ამჯერადაც გაიმარჯვეს თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა ანგარიშით 4:3.

◆ **ამერიკის** შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 131:43 დაამარცხა კოლუმბიელები, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა გუნდი დამარცხდა ბრაზილიელებთან.

# საუკეთესო სნაიპერები

**„ა" კლასის** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებისათვის დაწესებულია გაზეთ „ტრუდის" პრიზი, რომელიც მიეკუთვნება ყველაზე მეტი ბურთის გამტანს. თვალი გადავავლოთ წლევანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირთა სიას. დღეისათვის პირველ ადგილზე ათ-ათი ბურთით არიან მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელი **გ. ევრიუჟიხინი** და ბაქოს „ნეფტიანიკის" კაპიტანი **ე. მარქაროვი**. მეტოქეთა კარში 9 ბურთი გაიტანა მოსკოვის დინამოელმა **ი. ჭშივცევმა**, მინსკის „დინამოს" თავდამსხმელის ე. მალოფეევის ანგარიშზეა 8 გატანილი ბურთი.

„ა" კლასის სათადარიგო შემადგენლობათა გუნდების ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია მოსკოვის „დინამოს" დუბლიორთა მოთამაშე ა. ლეონოვი, რომელმაც 11 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

## საქართველოს პირველობა

**მიმდინარეობს** საქართველოს პირველობა ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. დღეისათვის ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: გათამაშების ცხრილს 34-34 ქულით 24-24 თამაშიდან სათავეში უდგანან ზესტაფონის „მეტალურგი" და ყვარლის „დურუჯი". 22 თამაშიდან 31 ქულით მესამე ადგილზეა წალენჯიხის „კოლმეურნე". 24-24 თამაშიდან 31-31 ქულა აქვთ მახარაძის „მერცხალს" და ახალციხის „მესხეთს".

# კოსმოსი გვთავაზობს ამინდს

## კოსმოსური სისტემა „მეტეორი" მეტეოროლოგიურ ვახტზე დგას

ხალხს უნდა იცოდეს რა ამინდი იქნება დღეს, ხვალ, ერთი კვირის, ერთი თვისა და ერთი წლის შემდეგაც კი. ამინდის პროგნოზზე მუშაობს ეროვნული ჰიდრომეტეოსამსახური. ესაა ასობით მიწისზედა მეტეოროლოგიური და აეროლოგიური სადგური, სპეციალურად აღჭურვილი ხომალდები, თვითმფრინავები. ამ სამსახურში ჩაბმულია სისტემა „მეტეორი", რომელიც „კოსმოსის" ტიპის თანამგზავრებისაგან შედგება. დაიწყო ახალი ერა, მეტეოსამსახურის ისტორიაში.

ატმოსფეროს სამართლიანად უწოდებენ „ამინდის ფაბრიკას". იმისათვის, რომ გავიგოთ რა ამინდი იქნება, უნდა გვქონდეს ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების მონაცემების კომპლექსი. უნდა ვიცოდეთ ატმოსფეროს მთელ სისქეში ქარის მოძრაობის, ტემპერატურისა და ტენიანობის განაწილების ხასიათი, გვქონდეს ინფორმაცია მოღრუბლულობაზე, თოვლის საფარსა და ყინულის ველებზე. პროგნოზების შესადგენად მეტად საჭიროა ვიცოდეთ ღრუბლების ქვედა და ზედა საზღვრების ტემპერატურა, დედამიწა — ატმოსფეროს სისტემის სითბოს ბალანსი. საჭიროა გვქონდეს ოპერატიული ცნობები ნალექების მოსვლის ზონის, ინტენსიობის, ჭექა-ქუხილის მოქმედების კერების განლაგების შესახებ. ყოველივე ეს საფუძვლად ედება სინოპტიკურ რუკებს, რომელთა საშუალებით იგებენ უახლოესი და შემდგომი ხანების ამინდს.

სამწუხაროდ, ასეთ რუკებზე ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ბევრი თეთრი ლაქა იყო. ეს იმით აიხსნება, რომ პლანეტის მიუდგომელ და ნაკლებად დასახლებულ რაიონებში (უდაბნოები, ზღვები, ოკეანეები და ა. შ.), რომლებიც სულ შეადგენენ მთელი ზედაპირის დაახლოებით 80 პროცენტს, მეტეოსამსახური სუსტად არის დაყენებული. ჩვეულებრივი საშუალებებით შეუძლებელია რეგულარულად მივიღოთ ინფორმაცია მსოფლიო სივრცეში გასული და ატმოსფეროში დარჩენილი სხივური ენერგიის რაოდენობის შესახებ. გარდა ამისა, კავშირგაბმულობის საშუალებით ვერ ვიღებდით ინფორმაციას მოშორებული რაიონებიდან საჭირო სისწრაფით და მოცულობით.

თანამედროვე პირობებში საჭირო გახდა ძირეულად გაუმჯობესებულიყო ამინდის სამსახური და, კერძოდ, გამოგვეყენებინა კოსმოსური ტექნიკა. საბჭოთა კავშირში შეიქმნა ექსპერიმენტული მეტეოსისტემა „მეტეორი". „კოსმოსის" ტიპის თანამგზავრებს, რომლებიც 97 წუთში უვლიან გარს დედამიწას, შეუძლიათ 625-630 კილომეტრი სიმაღლიდან „დაინახონ ამინდი" და სწრაფად გადმოგვცენ უამრავი ცნობები. ერთ რეისში „მფრინავი მეტეოსადგურები" სატელევიზიო და ინფრაწითელი გადამწოდებით სწავლობენ ათასი კილომეტრი სიგანის ზოლს, აქტინომეტრიული გადამწოდებით კი 2.500 კილომეტრი სიგანისას. თანამგზავრები დღე-ღამეში დედამიწის ზედაპირის ნახევარს იკვლევენ და მეცნიერებს გადმოსცემენ ცნობებს ატმოსფეროს „ცხოვრების" შესახებ.

## „მეტეორი" ადამიანს ემსახურება

საბჭოთა მეცნიერების აზრით, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები უაღრესად ფართო პერსპექტივებს სახავენ ამინდის სამსახურის სრულყოფისა და მეტეოროლოგიური კვლევის განვითარებისათვის. კოსმოსური მეტეოროლოგია ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. ახლა ძნელია წარმოვიდგინოთ მთლიანად ის უდიდესი სარგებლობა, რომელსაც იგი კაცობრიობას მოუტანს მომავალში. სისტემა „მეტეორი", როგორც აღინიშნა, ექსპერიმენტულია. მისი მთავარი მიზანია შეამოწმოს აპარატურის „შრომისუნარიანობა" ფრენის პირობებში და შეიმუშაოს თანამგზავრების ინფორმაციის გამოყენების მეთოდები ამინდის პროგნოზების ანალიზების დროს. თანამგზავრებში მოთავსებული სატელევიზიო მოწყობილობანი და ინფრაწითელი აპარატურა მეტეოროლოგებს აძლევენ მოღრუბლულობის, თოვლისა და ყინულის საფარის სურათს პლანეტის არა მარტო განათებულ მხარეზე, არამედ ჩრდილოვან მხარეზეც. სპეციალური ხელსაწყოები, რომლებიც აღრიცხავენ დედამიწიდან მიმავალ რადიაციას, საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ მონაცემები პლანეტის რადიაციული ბალანსის შესახებ. რაც უფრო უკეთ იქნება შესწავლილი ამ ბალანსის კანონზომიერებანი, მით უფრო საიმედო გახდება ამინდის ოპერატიული პროგნოზების მეთოდები.

